



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

3 / 05 2017 წ.

თბილისი

№ 238

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ფოტოკონკურსის „დავიცვათ საგზაო მოძრაობის წესები ერთმანეთის გულისთვის“ ორგანიზების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „ნ“ ქვეპუნქტებისა და „საქართველოს საგზაო უსაფრთხოების ეროვნული სტრატეგიის 2017 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №2711 განკარგულების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ავტოსაგზაო შემთხვევების პრევენციის, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა ინფორმირებულობისა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით სამინისტროს მიერ წარმოებული კამპანიის ფარგლებში ფოტოკონკურსის „დავიცვათ საგზაო მოძრაობის წესები ერთმანეთის გულისთვის“ გამოცხადება და ორგანიზება.

2. საუკეთესო ნამუშევრის შერჩევის, კონკურსში გამარჯვებული პირის გამოვლენისა და მისი დაჯილდოების მიზნით შეიქმნას ყიური შემდეგი შემადგენლობით:

ა) თეა პერტაია (ყიურის თავმჯდომარე) – სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორი;

ბ) ვალერი ლომუაშვილი – სამინისტროს კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის დირექტორი.

3. ყიურის შემადგენლობაში მოწვეულ იქნეს:

ა) შალვა ოგბაიძე – თბილისის საკრებულოს წევრი, საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი;



ბ) ეკატერინე ლალიაშვილი – „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ ხელმძღვანელი;

გ) გოგა ჩანადირი – ფოტოგრაფი;

დ) ნათელა გრიგალაშვილი – ფოტოგრაფი;

ე) მარიამ ნაკანი-მამასახლისი – ფოტოგრაფი.

4. ქიური უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება ქიურის წევრთა ნახევარზე მეტი. ქიური გადაწყვეტილებას იღებს ქიურის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. გამარჯვებული პირი გამოვლინდება კონფიდენციალური შერჩევის გზით (საკონკურსო ნამუშევრებზე არ იქნება მითითებული ავტორთა ვინაობა, მათ მიენიჭებათ სპეციალური კოდი). გამარჯვებულად ცხადდება ნამუშევარი, რომელიც მიიღებს ქიურის წევრთა ხმების მეტ რაოდენობას. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია ქიურის თავმჯდომარის ხმა. ქიურის თავმჯდომარე სხდომაზე დასწრების შეუძლებლობის შემთხვევაში სხდომის გაძღოლის უფლებამოსილებას ანიჭებს ქიურის ერთ-ერთ წევრს.

5. გამარჯვებულ კონკურსანტს გადაეცეს ფულადი პრემია:

ა) პირველი ადგილისთვის – 3000 (სამი ათასი) ლარის ოდენობით;

ბ) მეორე ადგილისთვის – 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით;


გ) მესამე ადგილისთვის – 1000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით.

6. დაევალოს სამინისტროს ეკონომიკურ დეპარტამენტს გამარჯვებული კონკურსანტებისთვის ფულადი პრემიის ჩარიცხვა მათ წარდგენილი საბანკო რეკვიზიტის შესაბამის ანგარიშზე.

7. ბრძანება ამოქმედდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ([info.police.ge](http://info.police.ge)) გამოქვეყნებისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი



გიორგი მდებრიშვილი